

საქართველოს საბანკო სისტემის შეუსაბამოება ჭეშმარიტად აღამიანური საზოგადოების მშენებლობის პირობებთან

მიმდინარე პერიოდში სულ უფრო მატულობს მოსახლეობის მხრიდან საბანკო სისტემისადმი უნდობლობის და უკმაყოფილების დონე.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საბანკო სექტორმა ადვილად გადალახა კრიზისული პერიოდი და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილი შემოსავალი მიიღო, საიდანაც უდიდესი წილი საპროცენტო განაკვეთებზე მოდის, რომლის მაღალი დონითაც საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში. ამის შესაბამისად, ბანკების უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვი თანდათან იზრდება, რომელთა უკმაყოფილების ძირითადი საფუძველი მაღალი საპროცენტო განაკვეთებია.

გარდა მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა, საბანკო სექტორის მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილების კიდევ ერთი ფაქტორი, ბანკის მიერ დაწესებული სასესხო მომსახურების კაბალური პირობებია, რომელიც ისე ოსტატურად არის შენიღბული მომსახურების ხელშეკრულებებში, რომ არა მხოლოდ რიგით მომხმარებელს, რომელიც ხშირად, ყურადღებით არც კი კითხულობს დოკუმენტს, არამედ გამოცდილ სპეციალისტებსაც უჭირთ სახელშეკრულებო პირობების დეტალური გარკვევა.

ბანკის მხრიდან არცთუ იშვიათია მსესხებლის კრედიტუნარიანობის არასათანადო შეფასება, რაც საბოლოოდ მოსახლეობას სესხის თავისდროული დაბრუნების პრობლემას უქმნის. ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს სესხის რეკონსტრუქციის ანუ მისი დროში გადავადების პირობები, რომელიც კიდევ უფრო გაზრდილი საპროცენტო და საკომისიო გადასახადებით გამოიხატება. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო ამძიმებს მსესხებლისთვის ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობებს.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი როლი აკისრია საბანკო სექტორს, თუმცა, თუ დღეისათვის არსებულ სიტუაციას გადავხედავთ, ქართული საბანკო სექტორი უფრო სამომხმარებლო სექტორის დაფინანსებაზეა ორიენტირებული.

ბიორგი შარეშიშვილი

ჯიპა-ს დოქტორანტი

მაია ალადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა

დოქტორი ეკონომიკაში

ბული, ვიდრე ბიზნეს-სექტორზე. ეს თავის მხრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბიზნეს-გარემოში ეკონომიკური რისკების მაღალი დონე შეიმჩნევა. სწორედ რისკის მაღალი ხარისხის გამო, თითქმის არ ფინანსება საბანკო სექტორის მიერ ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკი იძულებული ხდება, ბიზნესსექტორში ერთი მსესხებლის გაკოტრების რისკი მეორე მსესხებლის მაღალი საპროცენტო განაკვეთით დააზღვიოს.

იპოთეკური დაკრედიტების მიხედვითაც საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის და იგი 12-დან 22 პროცენტამდე მერყეობს. ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებით, ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთები ქართულ ბანკებში გამოწვეულია იმით, რომ საკმაოდ მაღალია საქართველოს ბანკების უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებზე დამოკიდებულების ხარისხი. უცხოური საფინანსო ინსტიტუტების შესაძლებლობები კი, მიმდინარე პერიოდში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გამო, ნაწილობრივ შეზღუდულია. ეს აიძულებს ქართულ საბანკო სექტორს, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებით, როგორმე მოიზიდოს დეპოზიტები შიდა ბაზარზე, რასაც ავტომატურად მოყვება საპროცენტო განაკვეთის ზრდა სესხებზეც.

ცხადია, საბანკო სექტორს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ნაწილს, საკუთარი საქმიანი პოლიტიკა გააჩნია, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, იგი ცალსახად ვერ იქნება მხოლოდ მოსახლეობაზე ორიენტირებული.

თუ გავითვალისწინებთ პროფესორ ალფრედ კურატაშვილის თეორიას, რომ “ჭეშმარიტად

ადამიანური საზოგადოების პირობებში, ან ამ საზოგადოების მშენებლობის გზაზე, საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს სოციალური მიზნის რეალიზაცია”, ასევე მისივე მოსაზრების თანახმად, რომ “ ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა, ხალხისთვის ცხოვრების და მოღვაწეობის ჭეშმარიტად ადამიანური პირობების შექმნა ნებისმიერი სახელმწიფო

ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობაა”, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ბერკეტები იმის საწინააღმდეგოდ, რომ ეკონომიკის არც ერთმა რგოლმა და მათ შორის, საბანკო სისტემამ, კაბალურ პირობებში არ ჩააყენოს ქვეყნის მოსახლეობა და ბანკებმა შეასრულონ მათი მთავარი, ეკონომიკის და ბიზნესის მხარდამჭერის ფუნქცია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი. (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი; საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003.

НЕСОВМЕСТИМОСТЬ ГРУЗИНСКОЙ БАНКОВСКОЙ СИСТЕМЫ С УСЛОВИЯМИ СТРОИТЕЛЬСТВА ВО ИСТИНУ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

ГИОРГИ ФАРЕШИШВИЛИ

докторант ДЖИПА

МАИЯ АЛАДАШВИЛИ

доктор социальных наук в Экономике

В статье рассмотрена роль Грузинской банковской системы с происходящим экономическим процессом в стране. В Грузии выросла недовольство насилении к банковской системе, что в основном вызвано из за высокой процентной ставки и высоких расход на услуги, а так же в общих отношениях с экономикой в стране. Банки потеряли свою главную функцию - функцию содействовать экономики страны и стали личным бизнесом ориентированным только на свой прибыль, который представляет отдельную монопольную автономию и в текущий период у государство нет не какого рычага против этого монополия.

INCOMPATIBILITY OF THE GEORGIAN BANKING SYSTEM WITH THE CIVIL SOCIETY DEVELOPMENT CONDITIONS

GORGI FARESHISHVILI

PhD of GIPA

MAIA ALADASHVILI

doctor of social sciences in Economy

The article describes the role of the Georgian banking system in the economic development processes. level of satisfaction grew in clients of financial institutions and this can be contributed to the high interest rates and high service costs, as well as overall attitude to the economic state of the country. Banks lost their main function of supporting economic development of the country and turned into private businesses oriented on private profitability, therefore banks are functioning as a separate autonomous businesses and the state has no leverage to deal with such monopoly.